# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

**ფ ა ს ი:**

წლიურათ . . . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . . . 3 აბაზი

**ცალკე ნუმრის ერთი შაური.**

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვირგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 118

წელიწადი მეორე

1913

სამშაბათი, 6 აგვისტო.

**მისამართი:** Кутаисъ, редакція газ. „ИМЕРЕТИ".

ტელეფონი № 149.


ეროვნული ბიბლიოთეკა


ელექტრო-თეატრი „რადიუმი"
6 და 7 აგვისტოს 1913 წ.

პათე ჟურნალი.
ვ ი დ რ ა
სამეცნიერო სანახაობა ცხოველების სამეფოდან

მ ი ს ი წ ა რ ს უ ლ ი
დრამა ორ ნაწილათ, უმთავრეს როლს ასრულებს გამოჩენილი არტისტკა **ივეტა ანდრიორი.**

პოქსონი ცთილობს გახტომას
კომიკ.

პროგრამის გარეთ:
რ ა მ პ ი ს ც ე ც ხ ლ ი
დრამა.



მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისთვის ყოველდღიურ გაზეთზე

წელიწადი მეორე

1913 **იმერეთი**

**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| ერთი წლით | . . . | 7 მანეთი, |
| ნახევარი წლით | . . . | 4 მანეთი. |
| ერთი თვით. | . . . | 3 აბაზი. |
| და ცალკე ნუმრის | . . . | 1 შაური, |

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა—სამი მანეთი.

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით პწკარი ღირს 3 შაურათ მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ редакція газеты „ИМЕРЕТИ"

სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.



ქუთაისი.

პაიზე დამყარებული ამხანაგობა

კირაკოზოვი & ზ. გ. ოგანოვი.

გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი ს ა

და ზაფხულის სეზონი

ტრიკო, კასტორი, დიოგონალი, ჩეჩუნჩა, რაგოჟი, ტილო, პარუსინა, ბატისტა, კისეია, შემიზი, ჩითი.

პოპლინი, მესალინი, ჟივრონი, ლიბერტი, ლევანტინი, სტოლსაფრები, „პოკრივალო", პირსახოცი, ხელსახოცები, მადაპალამი, ლანკორტი.


## ხელის მომწერთა საყურადღებოთ

ქ. ქუთაისში მოვაჭრე ამროსი ხვინგია თავის სავაჭროში გაზ. „**იმერეთის**" ხელის მომწერლებს სთხოვს რომელსაც არა აქვთ პირველ იანვრიდან გაზეთის დასაკვეთი ფული შემოტანილი დაუყონებლივ შემოიტანონ წინაამდეგ შემთხვევაში გაზეთის გაგზავნა მოესპობათ.


## დაიკარგა

კირილე დავითის ძის ჭავჭანიძის უვადო **პასპორტის წიგნაკი** 1912 წ. 12 თებერვლის თარიღით, № 122. დაკარგულია იარაღის მოწმობაც სურათით. მპოვნელს ვსთხოვ ა. გვიჩიას მაღაზიაში მიიტანოს.

## ქირავდება

ერთი ოთახი მეორე ატაჟაზე ბალახვანის ქ. სახლი პ. ბოჭორიშვილის მსურველს შეუძლია მიმართოს იქვე ეზოში.

## იყიდება

ქუთაისში "პოდგორნი" ქუჩაზე რიონის პირისკენ ორსართულიანი ქვიტკირის სახლი სარდაფით.

მისამართი: „პოდგორნი" ქუჩაზე ზაინკალი (слесарь) ერმილე ქორიძე.

**ა ქ ი მ ი** კ. ო. ტყეშელაშვილი.

ათი აპრილიდან ღებულობს ავათმყოფებს (**შინაგანი ვენერიული კანის**) ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან. პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში.

**აქიმი** ვ. ა. ნემსაძე ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშვადღევის 3—6 საათ. თფილისის ქუჩა, ფირალოვის სახლი.

**შინაგან სნეულებათა ა ქ ი მ ი**

**ნიკ. ივ. შენგელია.** მიღება: დილით 9—11 ს., საღ. 5—7. გენერლის (გოგებაშვილის) ქუჩა, საკ. სახლი.

## აქიმი ი. ჩარექოვი

ხუთ ივნისიდან მიიღებს **კანის და ვენერიული ავათმყოფებს ახალ ბინაზე.** გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში.



## ქ. ქუთაისში.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

☛ საბუღალტერო კურსები ☚

გ. გ. გიკინეიშვილისა.

კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით. (გიმნაზია, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებელი). კურსი ათი თვისაა. სწავლის ფული ასი მან. თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში. (თფილისის ქუჩა, სახლი ბარქაიასი,)

## თ. ა. მთავრიშვილის წიგნის მაღაზია

აუწყებს მასწავლებლებს, მოსწავლეებს და პროვინციის წიგნის მაღაზიებს, რომ ამა 1913—14 სასწავლო წლისათვის დამზადებული აქვს

## დიდძალი სახელმძღვანელო და სხვა წიგნები,

რომელნიც იხმარება ქალაქ ქუთაისის და ქუთაისის გუბერნიის დაბალსა და საშუალო სასწავლებლებში.

**ფასები საკმაოდ დაკლებულია.**

მსურველთ შეუძლიათ წიგნებთან ერთად მოითხოვონ ჩვენგან სხვა სასწავლო ნივთებიც: **რვეულები, კალმები, კალმის ტარები, კარანდაშები, საანგარიშო დავთრები** და სხ., რასაც **ძალიან დაკლებულ ფასათ** დაუყონებლივ მივაწვდით **გოკიელის** საკანცელარიო მაღაზიიდან.

მისამართი: **ქუთაისი**, ალექსანდრეს ქუჩა, ბოკერიას სახლი, ბულვართან.



თამარ პავლეს ასული, ივანე პავლესძე, ნეო ბესარიონის ასული, პავლე მათეს ძე ჩხეიძეები, ოლღა და პავლე მიხეილის ძე და ასული მოსეშვილები შვილებით, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გადაცვალებას პირველნი უსაყვარლესი შვილისა, ხოლო მეორე და მესამესი შვილის შვილისას

**ვახტანგ ივანეს ძის ჩხეიძისას,**

გამოსვენების დრო დანიშნულია დღეს, აგვისტოს 6 რიცხვს, დღით სამშაბათს 4 ნახევარ საათზე. დაკრძალვა მოხდება საფიჩხიის სასაფლაოზე (საკუთარი სახლი № 26 ჭავჭავაძის ქუჩაზე)

დავით სიმონის ძე ჭავჭანიძე შვილებით: აკაკი, კირილე, ოლღა დავითის ასული, გიგო მარკოზის ძე ბახტაძე, აკილინა და აგრაფინა, ვასილ სიმონისძე ჭავჭანიძე და ვარდიკო არსენის ასული ჭავჭანიძისა გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ პირველი ძვირფასი მეუღლის, მეორენი დედისა, მესამე სიდედრის, მეოთხენი დედამთილის, ხოლო უკანასკნელი რძლის

**ფოტინე სტეფანეს ასულის ჭავჭანიძის**

გადაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს 7 ამ თვეს დილის ათ ს. დ. ხონში, მაცხოვრის ეკლესიაზე. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 7 საათზე.



## ახალი წიგნის მაღაზია

☛ კ. ი. ოცხელისა ☚

ქუთაისში ალექსანდრეს ქუჩაზე ზ. კოკოჩაშვილის სახლში გაიხსნა

# უდიდესი

## წიგნის მაღაზია

## კონსტანტინე ივანეს ძის ოცხელისა.

ახალ მაღაზიას შეძენილი აქვს მეტათ მრავალი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი.

ახალ მაღაზიას სურს შეამავლობა გაუწიოს პროვინციის წიგნის მაღაზიებს, სასწავლებლებს და წიგნთსაცავებს, რომელთაც დაეთმობათ წიგნები, რაც შეიძლება, ფას-დაკლებით. ამაზე ყველა დარწმუნდება მაღაზიის პირდაპირი გაცნობით.

ახალი მაღაზია გახსნილია იქ, სადაც აქამდი მთავრიშვილის ყოფილი ამხანაგობის წიგნის მაღაზია არსებობდა; მის გვერდით გამართულია დ. ოცხელის სპეციალური საკანცელარიო მაღაზია, სადაც მოიპოვება ყოველნაირი სასწავლო ნივთი ძლიერ იაფათ.



ქ უ თ ა ი ს ი ს ქ ა რ თ უ ლ ი

☛ გიმნაზია ☚

აცხადებს, რომ მდგომარე წლის სეკტემბრისათვის თავისუფალი ვაკანსია მოიპოვება მხოლოდ

## მოსამზადებელი კლასის

## 1-სა და 2 განყოფილებაში.

თხოვნა და საჭირო დოკუმენტები (მეტრიკული, წოდებისა და ყვავილის აცრის მოწმობები) უნდა წარმოადგინონ 20 აგვისტომდის. სწავლა გამოცდა დაიწყება 26 აგვისტოდან.

## თფილისის მეორე რვაკლასიანი

**კომერციულ სასწავლებლის** ადმინისტრაცია ამით აცხადებს, რომ **მისაღები ეგზამენები მოსამზადებელ განყოფილებაში**

და 1, 2, 3, 4, 5, და 6 კლასებში დაიწყება 20 აგვისტოდან.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პირველ კლასში | მიიღებიან | 10—12 წლ. | მეოთხეში | „ | „ | 13—16 წლ. |
| მეორეში | „ | 11—14 „ | მეხუთეში | „ | „ | 14—17 „ |
| მესამეში | „ | 12—15 „ | მეექვსეში | „ | „ | 15—18 „ |

ადრესი: პანასევიჩის ქუჩა, № 38.


## ქუთაის. თავ.-აზნ-თა საგანგებო კრება.

კვირას, 4 აგვისტოს დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში მოხდა ქუთაისის გუბერნიის თ. აზნაურთა საგანგებო კრება, ამ კრებას უნდა მოესმინა პასუხი იმ შეამდგომლობაზე, რომელიც ამას წინათ საგუბერნიო კრებამ აღძრა კ. ლორთქიფანიძისა და დ. ბაქრაძის სასჯელის პატივების შესახებ.

საათის თერთმეტზე გუბერნიის წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელმა თ. დ. კ. ნიჟარაძემ კრება გახსნა და აუწყა, რომ მეფის მოადგილის თანამდებობის ამასრულებელმა ღენერალმა შატილოვმა ვერ სცნო შესაძლოთ შეამდგომლობისთვის მხარი დაეჭირა, რადგან ხსენებულ პირთა „დანაშაულს განსა-

კუთრებული ხასიათი აქვსო. მან წინადადება მისცა კრებას, მსჯელობა იქონიონ იმის შესახებ, თუ რა გზით გაუწიონ დახმარება კ. ლორთქიფანიძესა და დავით ბაქრაძეს. პირველათ თავ. ე. გელოვანმა ილაპარაკა. სანამ შვამდგომლობის საკითხის განხილვას შეუდგებოდა, ის შეეხო დეპუტატთა საკრებულოს იმ არა ნორმალურ მდგომარეობას, რომელშიც დღეს იგი იმყოფება. სხვათა შორის, მან სთქვა—რა მნიშვნელობა ექნება დღევანდელ ჩვენ გადაწყვეტილებას ან საზოგადოთ ჩვენ ხმას ვინ რა ყურადღებას მიაქცევს როდესაც ჩვენი წინამძღოლები ერთმანეთს ლაფს ასხმენ თავზე სახელს გვიტეხენ.

აი, ახლაც, ჩვენ აქ ვლაპარაკობთ და, შეიძლება, გუბერნატორის მოხელემ სიტყვა, გაგვაწყვეტიოს და რევიზიას შეუდგესო. ამ სიტყვებმა თავჯდომარის პროტესტი გამოიწვია; იგი ენერგიულათ მოითხოვს მხოლოდ წამოყენებულ საკითხზე ილაპარაკონ.

ალ. გელოვანის სიტყვით ეს საკითხი იმდენათ დაკავშირებულია ჩვენს საერთო მდგომარეობასთან, რომ შეუძლებელია ერთის არსებითად განხილვა თუ მეორესაც არ შევეხეთო.

შემდეგ მთელი რიგი ორატორებისა თ. მ. ფალავა პ. წულუკიძე, დ. ჩიკვაიძე და სხვანი მოითხოვენ, წინამძღოლთა მოქმედების შესახებ კამათს. კრება აირია ატყდა ჩოჩქოლი, თავჯდომარე კვლავ მოაგონებს ყველას, იმ საკითხზე იქონიონ მსჯელობა, რომლის გადასაწყვეტათაც შეიკრიბენ. ვ. წერეთელი ამბობს—ჯერ ეს საქმე მოვრჩეთ, რომლის გადასაწყვეტათაც შევიკრიბენით, შემდეგ მეორე საკითხზე ვილაპარაკოთო.

დ. ჩიკვაიძე აცხადებს, რომ მერე გვიანდა იქნება რევიზია დაიწყება, ჩვენ კი გვინდა ავუკრძალოთ რევიზორებს ჩვენ საქმეებში ხელის ფათური. მათ უფლება აქვთ ჩვენ და დაუკითხავათ რევიზია მოახდინონ.

ბოლოს, როგორც იქნა, გადაწყდა შეუდგენ კ. ლორთქიფანიძისა და ბაქრაძის საქმის განხილვას. გადაწყდა საგანგებო დეპუტაცია გაეგზავნოს მეფის მოადგილეს ტამბოვის გუბერნიაში და ეთხოვოს, რომ თავად-აზნაურთა შვამდგომლობას მხარი დაუჭიროს უმაღლესი მთავრობის წინაშე. დეპუტატებათ ერთხმათ არჩეულ იქნენ: ღენარალი. თ. ივანე ნაკაშიძე, სახელმწიფო საბჭოს წევრი თ. ანდრია ერისთავი და გუბერნიის თ.-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის ალმასრულებელი.

ამას შემდეგ უნდა ელაპარაკათ წინამძღოლის თანამდებობის ალმასრულებლის საქციელის შესახებ, რომელმაც გუბერნატორს სთხოვა—თ.-აზნაურთა დაუკითხავათ დეპუტატთა საკრებულოს რევიზია მოახდინოს.

როგორც ვიცით, ასეთი რევიზია კიდეც დაინიშნა ადრე მაგრამ მაშინ თავად-აზნაურობის საქმეს სათავეში თ. დ. ო. ნიჟარაძე უდგა, რომელმაც ნება არ მისცა ასეთი რევიზია მოეხდინა. დღევანდელი წინამძღოლი კი თვითონ სთხოვს —მობძანდით და გადაბრუნეთ ჩვენი სკივრებიო. ამ ამბავმა თავადაზნაურობა ძლიერ აალელვა. სასტიკი საყვედური გაისმის ყოველ მხრიდან. მ. ქორქაშვილმა სთქვა:—თქვენ გინდათ დეპუტატთა საკრებულო საპოლიციო ნაწილის კანცელარიათ აქციოთო.

ასეთი მოქმედებით მიწასთან ასწორებთ იმ დაწესებულებას, რომელსაც სათავეში დგახართო და სხვა ..

როცა საკითხის განხილვამ ასეთი მიმართულება მიიღო, ყველასთვის მოულოდნელად, თავჯდომარემ კრება დახურა და დარბაზი დასტოვა, ამგვარმა საქციელმა ყველა მეტათ ააშფოთა ბევრი გულის წყრომა წარმოითქვა თავჯდომარის მიმართ. ასე აშფოთებული დაიშალა კვირის აზნაურთა კრება.

# ახალი ამბავი.

✦ ქუთაისის სააზნაურო დეპუტატთა საკრებულოში რაჭის მაზრის დეპუტატს სეფე მხეიძეს განცხადება შეუტანია. ბ-ნი მხეიძე ეხება იმ რეპრესიებს, რომელიც სამოსამართლო დაწესებულებათა მაღალი წარმომადგენლების მიერ ქართველ მოსამსახურე პირთა წინააღმდეგ არის მიღებული. განცხადებაში ჩამოთვლილია, თუ რამდენი პირი დაითხოვეს სამსახურიდან და ითხოვენ ახლაც, მხოლოდ იმისთვის, რომ იგინი ქართველებია. მხეიძე წინადადებას აძლევს დეპუტატთა საკრებულოს, მიანდოს ქუთაისის გუბერნიის წინამძღოლს თფილისის გუბერნიის წინამძღოლთან ერთად მსჯელობა იქონიოს ამ განცხადების შესახებ, მოიწვიონ აზნაურთა საგანგებო კრება და აირჩიონ დეპუტაცია, რომელიც მათი უდიდებულესობის წინაშე იშვამდგომლებს ხსენებული საქმის შესახებ...

✦ ლანჩხუთიდან ცნობა მივიღეთ, რომ ამას წინათ ჩვენს გაზეთში მოთავსებული ცნობა ილ. ქღენტის მიერ მოწოდებული სიმართლეს მოკლებულიაო. ბ. ქღენტი პირადათ შემოვიდა ჩვენს რედაქციაში და რამდენსამე კაცს გადმოგვცა ის ცნობა—აფიშაზე სიტყვების წარწერის შესახებ. ველით დაუყონებლათ ამის თაობაზე განმარტებას თვით ბ. ქღენტისაგან.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა ილია ჭავჭავაძის ყოფილ მოურავს დიმიტრი ჯაშს ნება დართო ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ილიას ცხოვრებიდან ცნობები წაიკითხოს, რომელიც განსვენებული მგოსნის ცხოვრების უკანასკნელ წლებს შეეხება.

პირველ საჯარო ცნობას ამ საგანზე ბ-ნი დ. ჯაში წაიკითხავს დ. სამტრედიაში შაბათს, 10 მარიამობისთვეს.

✦ ჭიათურას მრავალი მუშა ხელი მიაწყდა სამუშაოს მძებნელი, რომელთა უმეტესობაც საქმეს ვერ შოულობს და გაჭირვებულია.

✦ 1 ივლისის განავლობაში ჭიათურის მრეწველთა საბჭოს საავათმყოფოზე დახარჯულა 4595 მ. 68 კ. ავათმყოფი ყოფილა—1533 კაცი. თითო ავათმყოფის შენახვა დღეში 46 კაპ. დამჯდარა.

✦ შაბათს, 3 აგვისტოს დ. ხონში დრამატიული სექციის მიერ გამართულ საღამოს ცოტა საზოგადოება დასწრებია. შინაარსის მხრითაც სუსტი ყოფილა საღამო რადგან, ვინც აფიშაში იყო გამოცხადებული, ყველას არ მიუღია მონაწილეობა. საღამოს შემდეგ ვახშამი კი მხიარული ყოფილა და გათენებამდის ულხენიათ.

✦ დღეისთვის დ. ხონში სააკაძის ლიტერატურული გასამართლება იყო დანიშნული. ბრალმდებლათ მიწვეულია— გრ. გიორგაძე დამცველად—გრ. ლალიძე.

✦ თფილისის ინჟინერთა ჯგუფს გადაუწყვეტია თფილისში საპოლიტეხნიკო კურსები მოაწყოს.

✦ „ბათომის გაზეთი“ იუწყება:—ბათომის სამოქალაქო სასწავლებლის ყოფილმა ინსპექტორმა კირპიჩმა მაკრიალის ხეობაში, ბათომის მახლობლათ მთაზე „პილავ-ტეპეზე“, ძველი ნანგრევები ამოაჩინა. პროფესორ კრასნოვის აზრით ეს ნანგრევები კოლხოსის შვილის აბარტის დროისა უნდა იყოსო.

✦ 13 აგვისტოს თფილისში გაიხსნება სამელიორაციო კომიტეტის კრება.

✦ ავდაკოვის თავჯდომარეობით პეტერბურგში ვაჭართა და მრეწველთა წარმომადგენლების კრება მოხდა. კრების მიზანია—შეიმუშავოს საშვალებანი ბაქოში მომხდარი გაფიცვის წინაალმდეგ.

# ქუთაისის ხელოსანთა

## წვრილი კრედიტის ამხანაგობაში მომხდარ ბოროტმოქმედებათა გამო.

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნუმერში დაბეჭდილია ქუთაისის ხელოსანთა წვრილი კრედიტის ამხანაგობის წევრთა არაჩვეულებრივ კრების ანგარიში, სიდანაც ნათლად დაინახავს მკითხველი, რომ გამგეობის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებათა გარდა, კიდევ სხვა დეფექტებიც ყოფილა, სახელდობ ანგარიშები ვერ ყოფილა სისწორით ნაწარმოები.

ერთ ადგილს გასესხებული ვალის ბარათების ჯამი უდრის 14266 მ. 1 შ. ბალანსით კი ნაჩვენებია 14635 მ, 3 შ.

შესანახათ მიბარებული ფულების ჯამი საპირადო ანგარიშით უდრის 1957 მ. 96 კ. ბალანსში კი ნაჩვენებია 1933 მ. 29 კ. და კიდევ სხვა დარგებშიც არის ამგვარი განსხვავებები.

რას მოასწავებს ეს?

თუ ბალანსში მოყვანილი და ა. წ. დამხმარე წიგნების ციფრები არ ეთანხმება ერთმანეთს, აშკარაა, ან შეცთომით არის გატარებული წიგნებში რომელიმე ციფრა ან განგებ არის ჩადენილი სიყალბე.

ცხადია, თუ ამხანაგობის გამგეობა ბოროტმოქმედებას ჩადიოდა და ფულებს ითვისებდა, ვერც მათი ანგარიშების მწარმოებელი ბ. ფიფინოვი ყოფილა თავის ადგილზე

ბ. ო. ბაუერი ამბობს თავის „ბუღალტერიის ისტორიაში“:

„ამხანაგობათა მთავარ გამგეთ ძველ რომში ითვლებოდა „magister societatis“, რომელიცსაანგარიშოსა ც მიწერ მოწერის ნაწილს განაგებდა; მათ ემორჩილებოდა პროვინციის ყველა სია·დირექტორიც „pro magistris“ და დაბალი მოხელე, რომელნიც ხარჯებს კრეფდენ და რომელთა უმრავლესობასაც მონები შეადგენდენ“.

აი, რა მნიშვნელობას აძლევდენ ანგარიშების წარმოებას რომაელები ჯერ კიდევ 2000 წლის წინათ.

არა თუ წვრილი კრედიტის ამხანაგობაში, ბევრათ უფრო სხვილი საკრედიტო დაწესებულებებშიც ძნელათ მ... გვეპოებიან ბუღალტერიის ისეთი მცო... ნენი, რომელთაც თავისუფლათ შ... ძლებათ ანგარიშების მწარმოებლის კან... როლის გაწევა, თუ განიზრახა ვინ... ბოროტმოქმედების ჩადენა ან უნებლ... შეცთომა დაუშვა და დანიშნულებისა... არ ჩასწერა რომელიმე ციფირი.

ბუღალტერი ანუ ანგარიშების მწ... მოებელი კი ყველა დაწესებულების,... რალო იქნება ის თუ რთული, სუ... და გული.

ანგარიშების მწარმოებელს შეუძ... ხელი შეუწყოს რომელიმე დაწესებუ... ბის აღორძინებასა და წინმსვლელობა... რადგანაც საქმესთან ის ბევრათ ახლ... სდგას სანამ ვინმე გამგეობის წევრი.

შეიძლება რომელიმე დაწესებულებ... საქმეები ძლიერ კარგათ მიდიოდეს, მ... რამ ანგარიშის მწარმოებელს ისე ქონ... წიგნები აბურდული და ისეთი ციფრ... გიჩვენოსთ ბალანსში თავისი გამოუც... ლობით ანგარიშების წარმოების უცოდ... რობითა და ისეთი სურათი დაგიხატო... რომ ეს დაწესებულება უფსკრულის კ... მდგარი გეგონოთ.

რას ფიქრობდა ბ. ფიფინოვი მაშ... როდესაც ამხანაგობის რომელიმე წევ... იმის საანგარიშო წიგნებში დანით ფხ... და და 150 მან. მაგიერ 50 მ. სწე... დენ, ან გაცემულათ უჩვენებდენ 95 მ... იმ დროს, როდესაც კაპიკი არავის გა...

მართალია, კანონით გამგეობას ა... ბიებენ და აგებიებენ კიდეც პასუ... მაგრამ რათ დაავიწყდა ა. ფიფინოვს, რ... წვითა და დაგვით შეგროვილი მშრომე... ხალხის გროშების გაფლანგვისათვის ზ... ობრივათ თვითონ ისიც იქნებოდა პასუ... მგებელი.

ან იქნება მორალურ მოვალეო... ბ. ფიფინოვი არაფრათ აგდებს?

საჭიროა მეტი ფხა და უნარი გამოიჩინ...

# დ ღ ი უ რ ი.

ავსტრია არ თხოულობს ბუქარესტის დადგენილების ხელმეორეთ განხილვას.

— ოსმალეთმა ედუარდ გრეის მიმართა თხოვნით—დაგვეხმარეო.

— თეირანში სომხებს აპატიმრებენ.

— ოსმალეთმა ბულგარეთს წინადადება მისცა—ბულგარეთის ტერიტორიაზე ოსმალთა დარბევაზე ხელი აიღე, თვარა ომს გამოგიცხადებო.

— გერმანიის პრესა სიხარულით ეგებება რუსეთის იმ განცხადებას, რომ ის ამიერიდან ძალას არ დაატანეს ოსმალეთს, ადრიანოპოლიდან გავიდეს.

— სერბიის მთავარი მინისტრი ბერხტჰოლდს ინახულებს სერბია-ავსტრიის შორის მჭიდრო კავშირის მოსაწყობათ.

— გერმანიამ და იტალიამ მოსთხოვ... ავსტრიას—უარი სთქვა ბუქარესტის დადგენილებათა ხელმეორეთ განხილვაზე...

— ხონთქარმა ლონდონში ქ... ფაშას მისწერა—სთხოვეთ ინგლის-ფრ... კიის საკითხში მხარი დაგვიჭიროსო.

— მუშათა გაზეთები „ქივაია ჟი...“ და „რაბოჩაია გაზეტა“ დახურეს.

— პეტერბურგის ციხიდან პირვ... მაისს გაფიცვისათვის დაპატიმრებუ... 40 მუშა გაათავისუფლეს. პეტერბურგ... ცხოვრება ყველას აეკრძალა.

# ჭალალესევის წყლები.

მართალს ამბობენ, ბუნებას თავისი უხვი კალთა ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში დაუბერტყიაო.

მაგრამ, სამწუხაროთ, საკმაო ცოდნა არ მოგვეპოება, რომ მოვიხმაროთ ეს სიმდიდრე.

და თითოეული ნაბიჯი ჩვენი მრავალფერი ბუნების გამოკვლევისა და შესწავლის გზაზე არის იმავე დროს ნაბიჯი პროგრესისა და წარმატებისაკენ.

19 თებერვალს 1913 წ. კავკასიის სამკურნალო მართვაგამგეობის ქიმიურ ლაბორატორიას დაუსრულებია გამოკვლევა ჭალალესევის სამი წყაროსი.

ეს წყლები მდებარეობს 25 ვერსზე დაბა საჩხერიდან.

განმაკურნებელი ჰაერია. გარშემო სუნელოვანი საძოვრები ახლავს. რძე, კარაქი, ყველი იაფია.

იქვე ჩაუდის მდინარე ყვირილა, კალმახით სავსე.

ახლო მდებარეობს მდიდარი სოფლები.

საჩხერიდან ჭალამდი საფაიტონოგზაა, ჭალიდან ლესევამდი საურმე.

კეთდება განიერი გზატკეცილი.

უკვე ახლაც არის წყლებზე ნომრები, აბანო, გაწმენდილი და გასუფთავებული სასმელი წყაროები.

და, ცხადია, როცა აქ ყველაფერი რიგიანათ მოეწყობა, ეს წყლები ერთს უპირველეს ადგილთაგანს დაიჭერს სამკურნალო წყალთა შორის, როგორც თვით წყლის ღირსებისა, აგრეთვე მთის ცხოველმყოფელი ჰაერის გამო.

ანალიზმა დაამტკიცა, რომ ჭალალესევის წყლები რკინისა და კარისწყლების რიგს ეკუთნის.

ეგრეთწოდებული მლაშე მარილები ცოტა ქონია.

მაგალითად, თითოეულ ლიტრში (ათას გრამში) ყოფილა მჟავე ნახშირმბადისნატრი: პირველ წყაროში მესამედ გრამზე ცოტათი მეტი, მეორე წყაროში მეოთხედ გრამზე ცოტათი მეტი და მესამეში მეოთხედ გრამზე ცოტათი ნაკლები.

იმავე დროს, მაგალითად, ესენტუკში (№17) მჟავე ნახშირმბადის ნატრი ოთხ გრამზე მეტია და ქლორის ნატრი თითქმის ოთხი გრამია.

თითქმის ამდენივეა ხსენებული მარილი ბორჯომისა, უწერისა „ვიშისა“ და სხვა ამგვარ წყლებში.

დასკვნა:

— თუ ვინმე ავათ არის კუჭისა და წელების ქრონიკული სენით, აქვს აგრეთვე ნაღვლის მილებისა და ნაღვლის ბუშტის კატარრი, ნეკრესის ქარები (პოდაგრა), სიმსუქნე, ნაღვლის ბუშტის ქვა, შარდის ბუშტის კატარი, შარდმჟავე ქვები შარდის ბუშტშიდა შაქარი შარდში, იმან უნდა სვას ესენტუკი, ბორჯომი, ვიში და სხვა ამგვარი წყალი.

არ უნდა სვას ეს წყლები (ე. ი. ესსენტუკი, ბორჯომი, ვიში) იმან, ვინც ძალიან სისხლნაკლულია, ნეკრესის ქარები და სიმსუნეც რომ სჭირდეს. არ უნდა სვას აგრეთვე იმან, ვისაც ისე ძლიერ აქვს კუჭი დასნეულებული, რომ საჭმლის მონელება ძლიერ უჭირს, განსაკუთრებით არ უნდა სვას იმან, ვისაც აქვს კუჭის კიბო, ან და კუჭის წვენში მომნელებელი ნაწილების ნაკლულობა, მაშასადამე, ძლიერ გამხდარმა და სისხლნალულმა.

არ უნდა სვას ხსენებული მარილით მდიდარი წყლები აგრეთვე იმან, ვისაც მლაშეა აქვს შარდი, მეტად გაგანიერებული აქვს კუჭი და ცილი აქვს შარდში (ე. ი. თირკმლების კატარი ვისაცა აქვს).

ჭალალესევის წყლები კი არ არის ამგვარი მდიდარი ხსენებულ სნეულთათვის, რადგანაც მლაშე მარილს მცირეოდენს შეიცავს.

პირიქით სისხლნაკლულისთვის ჭალალესევის წყალიარა თუ უწყინარია, არამედ ძლიერ სასარგებლოა, რადგან შეიცავს რკინას.

ცხადია, ვისაც კუჭის კიბო აქვს ან ვისაც ძლიერ გაგანიერებული აქვს კუჭი, იმან არც ჭალალესევის წყალი უნდა სვას, რადგან ამ წყალშიც, როგორც ესსენტუკისა, ვიშისა და ბორჯომის წყლებში, ბევრია თავისუფალი გაზი, ნახშირმბადის სიმჟავე, რომელიც ბერავს და აგანიერებს ისედაც გაგანიერებულ კუჭს.

და, თუ ვიმე აქვს კუჭის სიგანიერე არა კიბოს გამო, არამედ სხვა მიზეზით, იმას შეუძლია სვას ცოტ-ცოტა ჭალალესევის წყალი, თუმცა არ უნდა სვას ბორჯომი, ვიში, ესენტუკი ან უწერის წყალი. რატომ? იმიტომ, რომ ჭალალესევის წყალში მარტო თავისუფალი გაზია მოსარიდებელი, ხსენებულ მლაშე წყლებში კი თავისუფალ გაზს გარდა მოქმედობს აგრეთვე ის გაზი, რომელსაც შობს მლაშე მარილი კუჭის სიმჟავეთა ზედმოქმედებით.

აგრეთვე, ვისაც თირკმლების ავათმყოფობა აქვს, ნდა ერიდოს ძლიერ მლაშე წყლების სმა, რადგან მლაშე მარილები ასნეულებენ თირკმლებს.

ჭალალესევის წყალი კი უწყინარია თირკმლებით სნეულთათვის, რადგან, როგორცა ვსთქვით, ძლიერ ცოტას შეიცავს მლაშე მარილს.

ჭალალესევის წყალი თავისი მხრით სასარგებლოა კუჭის კატარისათვის, რადგან შეიცავს მცირეოდენ მჟავე ნახშირბადის ნატრს გარდა მჟავე ნახშირბადის კალცისა და მაგნეზიას. მჟავე ნახშირბადის კალცი შვიდი მეათედია ერთ ლიტრ წყალში, მაგნეზია კი ორ მეათედზე მეტია. ეს მარილები ანელებენ, ნეიტრალურათ ქმნიან სიმჟავეებს სნეულ კუჭში და შველიან ამით განკურნებას. კალცის მარილი აგრეთვე აშრობს კუჭის ლორტყიან ზედაპირს და ამით ხელს უწყობს საჭმლის მონელებას. თუმცა ამ მხრით იდევ მეტი მნიშვნელობა აქვს ნატრის მარილს, რომელიც ხსნის სნეული კუჭის ზედაპირის ლირტყს.

კალცისა და მაგნეზიის მარილების გამო ჭალალესევის წყალი სასარგებლოა იმისთვის, ვისაცა სჭირს ნეკრესის ქარები, აქვს შარდმჟავის ქვები შარდის ბუშტში (мочекислые камни). ამ მხრით ეს წყალი აგრეთვე სასარგებლოა, როგორც ბორჯომი, ესენტუკი, ვიში და უწერა, რომელნიც მოქმედებენ ნატრის მარილით.

ჭალალესევის წყალი სასარგებლოა აგრეთვე იმისთვის, ვისაც აქვს შარდის ბუშტის კატარი და ბრონხიტი.

მაგრამ ვისაც აქვს შარდში ეგრეთწოდებული ფოსფატები, იმან არც ჭალალესევის წყალი უნდა სვას, არც ბორჯომი, ვიში, უწერა, ესსენტუკი და სხ.

ჭალალესევის წყალი სასარგებლოა აგრეთვე იმ ბავშისათვის, რომელსაცა სჭირს ძვლების ერთგვარი ავათმყოფობა —რახიტი ამ ავათმყოფობის დროს ბავშს ძვლები ურბილდება, რადგან კალცის მარილი აკლდება. ჭალალესევის წყალში კი ბევრია ეს მარილი.

არის ერთგვარი ავათმყოფობა, რომელსაც ეძახიან ოსტეომალაციას. ქალს, მეტადრე ორსულობის დროს, ურბილდება ძვლები. ამგვარ ავათმყოფსაც რგებს ჭალალესევის წყალი.

ჭალალესევის აბანო უხდება აგრეთვე იმას, ვისაც წყლულის მოშველება გაძნელებია ან წრბოლიანი მუწუკებისაგან არის შეწუხებული.

ცაგვერის წყალში მეტია მლაშე მარილები, ვიდრე ჭალალესევის წყალ... ამიტომ ცაგვერის წყალსაც ისეთ... მნიშვნელობა აქვს, როგორც ჭალალ... ვის წყალს.

მხოლოდ ერთი დიდი განსხვავ... ცაგვერსა და ჭალალესევის წყლებს ... რის. ცაგვერის წყალში ოთხჯერ მე... რკინა, ვიდრე ჭალალესევის წყალში. ... ტომ ზოგიერთი ავათმყოფის კუჭი ... იტანს ამ წყალს. კუჭს ამძიმებს ... აწუხებს.

ასე იცის ხშირათ იმ წყალმა, სა... ბევრია რკინა და კალცის მარილები.

ჭალალესევის წყალში, როგო... ვსთქვით, ნაკლებია, როგორც კალცის... რილი, აგრეთვე რკინა (სამი მეას... გრამმისა ლიტრში). ამიტომ ეს წყ... ადვილი დასალევია, კუჭს არ ამძიმებს...

მეორე მხრით ის რაოდენობა მ... ნახშირბადის რკინისა, რომელიც ... ჭალალესევის წყალში, სრულიად სა... ოა, რომ ჩავთვალოთ ის რკი... წყლათ.

რკინის მარილის გამო ჭალალეს... წყალი სასარგებლოა იმისთვის, ვ... სისხლნაკლულია, გამხდარია, დასუ... ბულია რამე ავათმყოფობას შემდეგ, ... ღლილი და დაქანცულია.

უმთავრესი ღირსება ჭალალეს... წყლისა მიეწერება რკინას.

რადის რაოდენობა ჭალალეს... წყალში არ არის გამოკვლეული. სას... ველია, დასრულდებოდეს გამოკვლ... ამ მხრითაც.

და სასურველია საზოგადოთ, ... გამოკვლეულ იქნას ჩვენში თით... ლი სამკურნალო წყალი, რომ იც... ავათმყოფმა, მისთვის რომელი წყა... უფრო სასარგებლოა.

**ექიმი ვასილ წერეთელ...**

...ბოლმა გამგეობამ და საბჭომ, რომ ...ვლავ აღარ განმეორდეს ამხანაგობაში ...რა თუ ფულების ფლანგვა, არამედ ...ნგარიშების არევ-დარევის ნებაც აღარ ...ცენ ბ. ფიფინოვი იქნება ის, თუ ...ხვა ვინმე. **ლელო.**

# პროვოკატორი.

(იხ. წერილი ,,მ. როკითელისა". 2 აგვის. ,,განთიადში").

...ზშირათ მითქვამს გულში, აღარ ავყვე-... აღარ ვაღირსებ პასუხს პროვოკატო-... ...სთქო, მაგრამ არ იქნა და არა, ვერც ...ხელ ვერ ავასრულე ეს გადაწყვეტი-...ლება. რატომ?

...მიტომ, რომ პროვოკატორს ისეთი ...ხი და საშვალება მოეპოება, რომ არ ...შეიძლება არ გამოგიწვიოს და პასუხი არ ...გაგებიოს.

პროვოკატორი ლათინური სიტყვაა და ...ნიშნავს ქართულად „გამომწვეველს".

...მისთანა ცილს დაგწამებს, რომ შეუ-...ძლებელია ხმა არ გასცე.

...გულს იჯერებს, შენს თავმოყვარეო-...ბას შელახავს, საზოგადოების თვალში ...დაგამცირებს; თავის თავს კი ქებას შეა-...სხამს, როგორც ვითომ ბოროტების ...მდევნელს, გმირს, საზოგადო საქმისათ-...ვის თავგამოდებულ მებრძოლს.

...რადგან ნამდვილი ღირსება არ მოე-...პოება, სხვისი დამცირება გაუხდია თავი-...ს თავის ამაღლების საშვალებათ.

...ასეთი ,,მ. როკითელიც".

...მ ვაჟბატონმა ურცხვათ, უტიფრათ ...შინელი, საზიზღარი ცილი დასწამა ხარ-...კოვის ერთს საუკეთესო სტუდენტს ალე-...ქსანდრე წერეთელს: ჯაშუშობა დააბრა-...ლა (იხ. ,,თანამედროვე ქვეყანა" № 1).

,,ურცხვათ", ,,უტიფრათთქო", იმი-...ტომ ვამბობ, რომ არ მოეპოებოდა არც ...ერთი ფაქტი, თავისი უმზგავსი ბრალდე-...ბის დამადასტურებელი და დამამტკიცებე-...ლი.

,,ასე ამბობენო", ეს იყო ერთად-ერ-...თი ,,საბუთი".

...კიდევ უფრო სასაცილო (რომ სამწუ-...ხარო არ იყოს) ,,საბუთი" მოყავს ხსე-...ნებულ პროვოკატორს ,,განთიადში".

...სტუდენტმა გ. ც-მა ალ. წერეთელს ...ჯაშუშობა დააბრალაო. ამის შესახებ შემ-...დგარმა სამედიატორო სასამართლომ სა-...ქმე ბოლომდი ვერ დაასრულა, რადგან ...ალ. წერეთლის მედიატორეები ,,მიკერ-...ძოებას იჩენდენო".

...ეს არის და ეს!

...მეორე მხრით, ჩვენ ვიცით, რომ სტუ-...დენტმა გ. ც-მაც იმავე ღირებულების ...,,საბუთი" წარუდგინა მედიატორეებს, ე. ი. ...ვერც მან მოიყვანა—ან კი საიდან მოი-...ყვანდა?—ვერცერთი ფაქტი ალ. წერეთ-...ლის წინააღმდეგ. და მისი ბრალდება, ...მდრუკი სულის ნაწარმოები, მედიატო-...რეებს სიცილათაც არ ყოფნიათ.

...ბ. ,,მ. როკითელი ალ. წერეთლის მე-...დიატორეებსაც ბრალსა სდებს: ,,მი-...კერძოება გამოიჩინესო".

...აქიდან ჩანს, როგორ ეძლევლება მას ...სხვისი პიროვნების შეურაცხყოფა და ...გაბიაბრუება.

,,ჩვენ ყოველივე სასამართლოს ოქმე-...ბიდან ამოვიღეთ, გავეცანით მას და შემ-...დეგ გამოვაქვეყნეთო", ბძანებს ბ. რო-...კითელი.

...მაშ, თუ ასე იყო, რატომ ერთი ფაქ-...ტი მაინც არ ამოიღეთ ამ ოქმებიდან?!

...ორში ერთი უნდა ვიფიქროთ: ან არ ...მოიპოება ოქმებში ფაქტები ან და, თუ ...მოიპოება,—ირ აღნიშნეთ, რადგან ა. წე-...რეთელი შეგებრალათ (?).

...მაგრამ განა არ ვიცი, რომ არ შეგე-...ბრალებოდათ ის, ვისაც საჯაროთ უსა-...მართლოდ და დაუსაბუთებლათ ჯაშუში ...უწოდეთ?!

...ბოლოს გადაჭრით გეუბნებით: ვიდრე ...ფაქტებით არ დაამტკიცებთ ალ. წერეთ-...ლის ჯაშუშობას (!), ნება გვექნება გი-...წოდოთ: „პროვოკატორი!".

...თავი უნდა გაიმართლოს ალ. წერე-...თელმაო, რომ ბძანებთ.

...რომელი ბრალდება, რომელი ფაქტები ...უნდა დაარღვიოს?!

...და როგორ შეუძლია გაიმართლოს თა-...ვი, თუ კი არ იცის, რას აბრალებენ?!

...მაგრამ განა არ ვიცით, რომ თქვენ და ...თქვენისთანები სიმართლისა და სამართ-...ლიანობისათვის თავს არ შეიწუხებთ?!

...განა არ ვიცით. რომ იდეური მოპირ-...დაპირის დასამცირებლათ და დასამარცხე-...ბლათ თქვენ არავითარ საშვალებას არ ...ერიდებით?!

...ვიცნობთ, ვისთანაც გისწავლიათ ბრძო-ლის მაგგვარი წესები, და არ გაგვკვირვე-ბია თქვენი საქციელი.

ვწუხარ, მხოლოდ, საშინელ საფლობ-ში რომ ჩაფლულხართ: ვეღარ იხსნით თავს!

წასულია თქვენი საქმე!

და აწ ვეღარ მოიშორებთ, ვეღარ ჩა-მოირეცხთ შუბლიდან პროვოკატორის სახელს. **ისარი.**

# ბოროტმოქმედება.

**ქუთაისის ხელოსანთა წვრილი კრედი-ტის ამხანაგობაში.**

კვირას, 4 მარიამობისთვეს ქალაქის გამგეობის დარბაზში ქუთაისის ხელო-სანთა წვრილი კრედიტის ამხანაგობის წევრთა არაჩვეულებრივი კრება მოხდა.

ამხანაგობის წესდების ძალით კრებას თავჯდომარეობდა წვრილი კრედიტის ინსპეკტორი ბ. ა. ჯაფარიძე, მდივნათ ერთხმათ აირჩიეს ბ. გ. მუმლაძე.

წვრილი კრედიტის ინსპეკტორმა ბ. ფომენკომ, რომელიც ბ. ნიჟარაძესთან ერთად 22—3 ივლისამდი ამხანაგობის საქმეების რევიზიას ახდენდა, წაიკითხა რევიზიის ოქმი.

რევიზიის დაწყებისას ამხანაგობაში ყოფილა 335 წევრი 71400 მან. ნდო-ბით.

**ამხანაგობის აქტივი:**

| | |
|---|---|
| საკრედიტო დაწესებულებებში | 505.— |
| გაცემული სესხი | 14635.15 |
| ქონება | 310.41 |
| ხარჯები | 1453,53 |
| ნაღდათ | 254.75 |
| საქონელი | 38,39 |
| ბალანსი | 17197.23 |

**პ ა ს ი ვ ი:**

| | |
|---|---|
| ძირითადი თანხა | 2000.— |
| საკუთარი „ | 82.— |
| სათადარიგო | 51.27 |
| შესანახათ მიბარებული ფულები | 1933.29 |
| ვალი | 11900.— |
| შვამავლობით შემოსული | 13.41 |
| დროებით მიბარებული ფულები | 189.29 |
| აღებული სარგებელი | 1027.97 |
| ბალანსი | 17197.23 |

ამხანაგობას აღმოჩენია სულ 317 ბა-რათი 14266 მან. 1 შ. და ბალანსში კი ნაჩვენებია 14635 მ. 3 შ. აკლია 369 მ. 2 შ. ბარათი. შემდეგ აღმოჩნდა, რომ №№ 39 და 257 ბარათები სულ 72 მან. წარმოდგენილია სასამართლოში ვალის გასანაღდებლათ სასამართლოს წე-სით. ბარათი № 209 სულ არ ამოჩენი-ლა და წიგნებში სწერია გასესხებულათ 50 მან., რაც გამგეობის თავჯდომარეს ბ. ფ. ხელაძეს დაუფარავს თავის ჯიბი-დან. ყველა ამას შემდეგ მაინც აკლია 247 მ. და 2 შ. ბარათები და არც ფუ-ლი ჩანს შემოტანილი.

გაცემული სესხის ჯამი არ ეთანხმება არც ბალანსსა და არც პირადი ანგარი-შების ჯამს: პირადი ანგარიშების ჯამი ნაკლებია ბალანსის ჯამზე (14635 მ. 3 შ.) 154 მ. 2 შ. და ბარათების ჯამზე კი მეტია 215 მანეთით.

გაცემული სესხის რაოდენობა ბევრათ აღემატება წესდებით გასაზღვრულ სეს-ხის მაქსიმუმის ნორმას.

გამგეობას შეუძენია 1648 მ. 9 კ. შალები. ამხანაგობის წევრ-თერძებს ამო-ურჩევიათ ამ შალების შემფარებელი და გამნაწილებელი კამისია: ა. თედორაძე, დ. ხვედელიძე და ა. გოგოლაშვილი. 1391 მ. 19 კ. შალები კიდეც გაუნაწი-ლებიათ ზოგი ნაღდზე და ზოგიც მათი ნდობის ანგარიშში; მონარჩენი 257 მ. 26 კ. შალები წაუღია თვით კამისიის წევრს დ. ხვედელიძეს და ფული ჯერაც არ დაუბრუნებია და საქონლის პატრონს კი ეს ვალი ამხანაგობის თანხიდან გა-დუხადა გამგეობამ.

შესანახათ მიბარებული ფული ბალან-სით ნაჩვენებია 1933 მ. 29 კ. პირადი ანგარიშებით კი 24 მ. 67 კ. მეტი უნდა იყოს.

მოსკოვის სახალხო ბანკიდან მიუღიათ სესხათ 3000 მან. წიგნებში კი აჩვენე-ბენ 2400 მან., ასე რომ 600 მან. მიუ-თვისებია გამგეობის თავჯდომარეს ფ. ხელაძეს.

ამას გარდა კოოპერატიული დუქნის „პროგრესის" ვალის ანგარიშში ი. გო-კიელის შვილების სავაჭრო სახლისათვის ამხანაგობის გამგეობის წევრებს ფ. ხე-ლაძესა და თ. ჭეიშვილსა და კანდიდატს ტ. ცაგარელს მიუციათ 1800 მან. თა-მასუქი, რაზეც მათ არ ქონიათ იური-დიული უფლება.

ერთი საბჭოს ყოფილი წევრისთვის მიუციათ სესხათ 60 მან. მისი სიტყვით 6 თვის ვადით, გამგეობის სიტყვით კი 10 დღის ვადით. საპირადო ანგარიშში ნაჩვენებია სარგებელი, მაგრამ გამორკვე-ულა, რომ, როგორც ყოფილი თანა-მდებობის პირისათვის სულ არ გადაუხ-დევინებიათ სარგებელი.

საქმეებში სულ არ აღმოჩენილა წევრ-თა შემდეგი ბარათები №№ 94, 165, 321, 330, 331, 334, 335, 336, 338, 339 და 354.

ვინმე მარიამ ჩიბურდანიძისას წიგნა-კით № 63 შესანახათ ქონია შეტანილი 150 მან. ამხანაგობის წიგნებში სწერია: „შემოიტანა 50 მ. გაიტანა 50 მ." ცი-ფრა „1" დანით არის ამოფხეკილი წიგ-ნებში. რევიზორების შეკითხვაზე ჩი-ბურდანიძისას უჩვენებია, რომ ფ. ხელა-ძე მეხვეწებოდა, ნუ დამღუპავ, აჩვენე, ვითომ 50 მან. გქონდა შემოტანილი და ისიც მიღებული გქვსო და შემდეგში მე გიზღავ შენ ფულსო, მაგრამ მეორე და-კითხვის დროზე უჩვენებია: „არაფერი არ მაქვს მიღებული და 150 მან. მაქვს მიბარებულიო, რის დასამტკიცებლათაც წარუდგენია ამხანაგობის წიგნაკი № 63.

ვინმე გ. მაღლაკელიძეს ქონია მიბა-რებული ფული წიგნაკით № 104—10 მან. წიგნებში კი დანით ამოფხეკილია და გადასწორებული 5 მან. ნ. ფხაკაძეს წიგნაკით № 108—10 მან. წიგნებში ნაჩვენებია 1 მან. ამავე დროს ქონია მეორე წიგნაკიც (ყალბი), რომელსაც ფ. ხელაძის თხოვნით, არ აჩენდა. შე-მდეგ ბათუმის სახელმწიფო ბანკის განყო-ფილების გამგის დაკითხვის დროს წარ-მოადგინა ის მეორე წიგნაკიც, რომელ-შიც 1 მან. სწერია მიბარებულათ.

წყალგალმა სამარხ კასიდან შესანახათ მიუღიათ 393 მ. 38 კ. და ფიქტიურათ უჩვენებიათ გასავალში. ფულები კი ფ. ხელაძეს დაუხარჯავს თავის საჭიროებაზე.

ასევე მიღებულია შესანახათ მცირე წლოვან ლიუბა კაკაბაძის ასულისაგან 67 მან. გასავალშია ნაჩვენები 65 მან., რომელიც კვლავად ფ. ხელაძეს გაუხმა-რია თავის პირად საჭიროებაზე.

ვინმე სერგო აფხაიძისაგან 1 ივნისს მიღებულია შესანახათ 50 მ. და იქვე შემდეგი წარწერა აქვს: „სერგო აფხაი-ძეზე გადასაცემათ მივიღე 50 მან. სერ-გო აფხაიძე." უკანასკნელი ხელმოწერი-ლი ყალბია და ფ. ხელაძე იმ გარემოე-ბამ აიძულა სიყალბე ჩაედინა, რომ სა-რევიზიო კამისიას არ აღმოეჩინა თაღლითობა, მე თვითონ მოვაწერე ხე-ლი და ვიმეორებ, რომ ს. აფხაიძეს არა აქვს მიღებული ეს ფულიო.

ფ. ხელაძეს მიუცია მაქსიმე ქუთათე-ლაძისათვის 50 მან. ბარათი, ვითომ ქუ-თათელაძის სესხის ანგარიშში მიუღია ეს ფული და ამხანაგობის ბეჭედიც დაუსვამს. ფული კი წიგნებში არ არის გატარებუ-ლი მიღებულათ და რევიზორ-ინსპექტო-რებისათვის განუცხადებია ხელაძეს, რომ პირადათ მე ვისესხე ის ფული და ამხა-ნაგობის სახელით კი გავეცი ბარათიო.

რევიზორების ანგარიშით გაფლანგუ-ლია 1883 მ. 74 კაპ.

ოქმის წაკითხვას შემდეგ სიტყა ითხო-ვა ფ. ხელაძემ და სთქვა, რომ იასონ გაბილაიას მივეცი სხვა და სხვა დროს მოსკოვში კოოპერატორთა სიეზდზე წა-სვლის დროს 200 მანეთამდი, და კიდევ სხვა წვრილი ხარჯებით წარმოადგინა სულ 400 მანეთამდი, რაც ამხა-ნაგობის გასავალში არ მიწერიაო და მო-ინდომა თავის მართლება, მაგრამ რად-გან ამ ფულებზე სულ არ ყოფილა ლაპარაკი რევიზორთა ოქმებში და არც დღის წესრიგს შეეხებოდა და ოქმებში მოყვანილ ბრალდებებზე კი არას ამბობ-და, კრებისა და რევიზორ-ინსპექტორ ბ. ფომენკოს მოთხოვნით, თავჯდომარემ არ მისცა კერძოთ მის დახარჯულ ფუ-ლებზე ლაპარაკი! ნება.

1 ფარული კენჭის ყრით 102 ხმით 26 წინააღმდეგ კრებამ დაადგინა პასუხის გებაში მისცეს მთელი გამგეობის შემა-დგენლობა: თავჯდომარე—ფ. ხელაძე და წევრები: თ. ჭეიშვილი და ქ. ცქი-ტიშვილი.

კრების დასასრულ ფარული კენჭის ყრით აირჩიეს გამგეობისა და საბჭოს წევრები.

გამგეობის წევრებათ აირჩიეს:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ს. ქორქოლაძე | 104 | თეთრი | 24 | შავი |
| ბ. ცნობილაძე | 98 | „ | 32 | „ |
| გ. ყუფარაძე | 97 | „ | 32 | „ |

**კანდიდატებათ:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ვლ. შავგულიძე | 89 | თეთრი | 40 | შავი |
| ზ. ბრეგვაძე | 88 | „ | 40 | „ |

**საბჭოს წევრებათ:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ა. კაკაბაძე | 110 | თეთრი | 19 | შავი |
| გ. ცაგარელი | 98 | „ | 31 | „ |
| ბ. ბრეგვაძე | 95 | „ | 34 | „ |

**კანდიდატათ:**

დიმ. გლებოვი 89 თეთრი 40 შავი.

# ნ. ნიკოლაძის აზრი

**ბაქოელ ქართველების შესახებ.**

ბ. ნ. ნიკოლაძე რამდენიმე ხნის წი-ნათ ბაქოს წვევია, და, როგორც ჩანს, დიდი შთაბეჭდილებაც მოუხდენია ჩვენს მოღვაწეზე ბაქოელ ქართველებს. აი რას უამბობს ის ერთ თავის ნაცნობს ამის შესახებ: „ბოლო ხანებში მაინც ქართვე-ლებზე დიდი გულგატეხილი ვიყავი რად-გან საიმედოს მათ ცხოვრებაში ვერაფერს ვუყურებდი. ჩვენში ყველა სიტყვების რახარუხმა ჩაითრია, ხოლო ნამდვილი საქმე კი არსად ჩანს. მით უფრო სასია-მოვნოა ჩემთვის, რომ ბაქოში მცხოვრე-ბი ქართველები ბედნიერ გამონაკლისს შეადგენენ, იქ ყველა საქმით დაინტერე-სებულია, მრეწველი, მუშა თუ ხელოსა-ნი, ყველა ისე მოქმედობს როგორც ნამდ-ვილი ამერიკელი. ყველას დიდი სიცოცხ-ლისა და საქმიანობის უნარი ეტყობა. როცა ასეთ სანუგეშო მოვლენას ვხედავ გული ახალგაზდური იმედებით მევსება და ვფიქრობ, მთას რომ შევეჭიდო გადა-ვაბრუნებო". ასეთ ხასიათზე დაუყენებია ჩვენი „ფრთა შეკვეცილი არწივი" ბაქოს ქართველების საქმიანობას.

# პატარა ფელეტონი.

**საპროტესტო წერილები.**

ბ. რედაკტორო!

რადგან ჩვენ დესეტნიკები ნებას არ გვაძლევენ დღისით, ან კიდევ ეტლზე არლნები დავუკრათ და ამით ხელს უწ-ყობენ ჩვენს გოგოებს, რომ სხვებს ეკურ-კურონ, ამიტომ ჩვენ ორთაჭალის ყარა ჩოღელი მეარღნეები ერთ ლოთიან პრო-ტესტს ვაცხადებთ ილია ჭავჭავაძის წი-ნააღმდეგ. სადა ხარ ათას ცხრაას ხუთო წელო! ჰაი გიდი აბასთუმან! მართალი უთქვამს ფილიპე მახარაძეს: „ვაჰ, სოფე-ლო რა შიგან ხარ რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა"!

თფილისის მეარღნეები: სოსანა, არშა-ვა, არმენაკა, თათუზა, არტუა, კაპლო, სედრაკა, გრიქულა, სერგუშკა, კაკუ-ლო, პეტუა, ავაქა, ფიჩხულა, მანო, ვართანა, ბონაკერტურა, მარქარა, აკო-ფა და მრავალი სხვა.

(თუ არა გჯერათ—მობძანდით და დაგვთვალეთ!)

— —

თანახმად ნ. ჩხიკვაძის წინადადებისა ჩვენ მისი თანამოკალმენი დღეიდან აღარ ვთანამშრომლობთ, როგორც „იმერეთ-სახალხო-თემში" ისე „მათრახში," „თა-ვართქილაძის კალენდარში," ჰინჭარში," „ბათუმის გაზეთში" „აყალ-მაყალში" „ბა-ტიბუტში" და მოვუწოდებთ ჩვენს თანა-მოძმეებს—შეერთდენ შეერთებული ძა-ლით და ჩამოშორდენ ხსენებულ ორგა-ნოებს!..

თფილისის აშუღები და პოეტები: სკანდარნავა, მამაჯანა, გივიშვილი, ალვან-ოღლი, დვალი ჰაზირა, მაკა-ლითია, ღვანკითელი და სხვ. რიცხვით 9999 კაცი.

— —

ჩვენ ქუთაისის რაიონის შეგნებული „ჩისტილჩიკები" ვუერთდებით პროტეს-ტანტების ყველა პროტესტსა და საზიზღარ ზიზღს ვუცხადებთ, ვინც ღირსია ზიზღი-სა თანახმად ჩვენებური პროპაგანდისტის „ოიამას" წინადადებისა. კმარა! ვიღვი-ძებთ!

ა—ძე, ბ—ძე, გ—ძე, დ—ძე, ე—ძე, ზ—ძე, (და იმდენი რამდენი ასოც ქართულ ანბანშია.)

— —

ბ ნო ალავ!

ჩვენ ჰონები, ქურქჩები, სარაჭები ფი-ნაჩები, აშპაშხანელები, მიკიტნები, ბაყ-ლები და ალაფები სასტიკ (ეს სიტყვა „სასტიკი" ჩვენ სომხებს გვევუთვნის — ჰააააა!), ფინო პროტესტს ვუცხადებთ ,,ნაციონალისტებს" რომ ალია ჭავჭავა-ძეზე რაღაც ,,ემეებს" სწერენ!..

ხაჩატურა ფთალჩინტიანც, ... ზეითუნიანც, პეტრუზა ზარბაზოვი, მე-სამთლიანთ ჰოვანე, ქაჩალ კარაპეტა, ქაფჩა გეურქა, კუზიანი შაშა, უკბილო სოლომანა, ლაყლაყაანთ გიქო, ბულ-დან ბულდანიჩი, ზიპო წკიპურტაძე, პუპუზ ლალუა, ბლუკუნა ავეტიქა, მი-კირტუმ ჩაიფხანოვი და სხვადასხვადა სხვა.

— —

რადგან ზემო დასახელებულმა პირებმა არ იცოდენ მათ მაგიერ მე ვამოწმებ, და ვაწერ ჩემს სახელსა.

**ფირუზა.**

# უცხოეთი.

**არეულობა ჩინეთში.** ზოგიერთი ჩინური გაზეთეს ცნობით ღენერალ ჯანსუინმა თავი ჩინეთის მეფეთ გამოაცხადა და ნან-კინს მიდის. მანჯურიის ქვეითა და ცხე-ნოსან ჯარს დამოკიდებულება აქვს მან-ჯურიის პრინცთან, რომელიც ცთილობს ძველი დინასტიის აღდგენას. ვუზუნის სიმაგრესთან 4 ათასი ჩრდილოელი შეი-კრიბა. ზღვის მხრითაც კრეისერები მოა-დგა ამ ადგილს. ადმირალმა ლიმ ოფი-ციალურათ გამოაცხადა. მალე დაიწყება იერიშების მიტანაო. სიმაგრის დამცველ-თა რიცხვში ბევრია მოსწავლე ახალგაზ-დობა. რადიკალების მოთხოვნილებით ია-პონიის მთავრობამ ნება მისცა ჩინელ ემიგრანტებს იაპონიაში ცხოვრებისა.

**მექსიკა და შეერთებული შტატები.** მიუ-ხედავათ მექსიკის გარეშე საქმეთა მინის-ტრის განცხადებისა, რომ ვილსონისაგან ლინდის გამოგზავნა გამოიწვევდა შეერთე-ბული შტატების წინააღმდეგ დემონსტრა-ციას, ლინდი მაინც მივიდა მექსიკაში. ლინდის მიზანია მშვიდობიანი გზით მექ-სიკის მთავარი მინისტრი ხუერტი სამსა-ხურიდან გადააყენოს, შეერთებული შტა-ტები თხოულობს, რომ ხუერტმა აწი პრე-ზიდენტის თანამდებობაზე ყუთი არ დაი-დგას. პრეზიდენტი ვილსონი იმედს გა-მოსთქვამს, მექსიკის დასამშვიდებლათ შეერთებულ შტატებს შეიარაღებული ჩარევა არ დასჭირდებაო.

**სერბიის მეფის ბძანება.** სერბიის მეფემ თავის ჯარს ასეთი ბძანებით მიმართა: გმირებო! გუშინ ბუქარესტში ზავი შეი-კრა. ბულგარეთის საზღვარზე ჩვენი ტე-რიტორია გაცილებით გაფართოვდა. ყო-ველივე ეს მოხდა თქვენი ერთგულობით და თავგანწირული ბრძოლით. თქვენმა მამაცობამ სერბიას რამდენიმე საუკუნის ნატვრა აუსრულა. თქვენ გაამართლეთ ჩემი იმედი და ამის წყალობით სერბიამ სახელი გაითქვა მთელ ქვეყანაში. გმირე-ბო მალე გამოვა ბძანება ჯარის დემო-ბილიზაციის შესახებ. ვწუხვართ, რომ ბევრ ოჯახს თავის საყვარელი წევრი არ დაუბრუნდება. გაუმარჯოს ჩემს სახელო-ვანსა და უძლეველ ჯარს.

# მშრომელი ხალხი.

**გაფიცვა იტალიაში.** მილანში, გაფიც-ვის კომიტეტმა, საყოველთაო გაფიცვის სასარგებლო მოწოდება გამოსცა. ზო-გიერთ ქალაქში ნიზასა, სპეცასა და რომში გაფიცვა შრომის ბირჟებმა და-უყონებლით გამოაცხადეს. სტამბის მუ-შათა კავშირმა განაცხადა, დისციპლინის გამო გაფიცვას ვუერთდებით, ხოლო თვით გაფიცვას კი არ თანაუგრძნობთო. გენუაში შრომის ბირჟა გაფიცვის წინააღ-მდეგია და ხალხსაც მოუწოდა მილანის გაფიცვის კომიტეტს არ დაუჯეროთო. სოციალისტური პარტიები გაფიცვის წი-ნააღმდეგია და გაფიცვაც დიდათ არ ვრცელდება. შრომის გენერალური ფე-დერაციაც გაფიცვის წინააღმდეგ აზრს გამოსთქვამს. ნაციონალური კავშირის მუშები ფედერაციის ვადაწყვეტილებას დაემორჩილენ და გაფიცვას არ შეუ-ერთდენ.

**მიღებულია:**
რკინის კოჭები შენობისთვის (Двутавровыя балки)
ნამდვილი ბახმუტის ალიბასტრი.
✦✦ იყიდება ზომიერ ფასათ ✦✦

სავაჭრო სახლი
**ი. გოკიელის** შვილების
ქუთაისში.

ბორჯომის წყალი

| | 1 ბოთლი | 10 ბოთ. | ყუთი (ოაზ.) |
| --- | --- | --- | --- |
| 1/2 | 25 კ. | 2 მ. 40 კ. | 11 მ. 50 |
| 1/2 | 16½ კ. | 1 მ. 60 კ. | 15 მ. 75 |
| 1/2 | 14½ კ. | 1 მ. 30 კ. | 9 მ. 50 |

თაის ქურქლით.

ნარხანი და ქარ-ტუკი № 20

დეპოლამპეულის, ჭურჭლეულო-ბ(ი)ს, ავეჯეულობის და შპალერის
ქ. ქუთაისში.

# ფ. ს. ფილიპოვისა.

ალექსანდრეს ქუჩაზე

მოეპოება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურები და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, ტაკზე საფენი „ლინელიუმი“, სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი მეირფასი საოჯახო ნივთები, აუარებელი ასარჩევი ნიმუშები შპალერის თ... ფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი ფასები ყოველი კონკურენციის გარეშეა.

პატივის ცემით ფ. ს. ფილიპოვი.


არეულობა გენუაში. გენუაში დიდი არეულობაა. შრომის ბირჟის წინ დემონსტრაცია გამართეს, შრომის ბირჟამ გაფიცვის წინააღმდეგ პროტესტი გამოაცხადა. ბირჟის მდივანი პოლიციელებმა გაათავისუფლეს. გაფიცულები ქუჩებში დადიან. მათ პოლიციელებთან უხდებათ შეტაკება. ბევრი დემონსტრატი დააპატიმრეს.

მუშათა კანონმდებლობა შვეიცარიაში. საქარხნო შრომის შესახებ კანონპროექტი, შვეიცარიის სოციალიზმის ვეტერანის გრეიხილის მონაწილეობით შედგენილი, შვიცარიის მუშებს არ მოსწონთ და მწვავე კრიტიკასაც უკეთებენ. პარტიულმა ორგანიზაციებმა კანონპროექტის მიღება შეუძლებლათ სცნეს. ქრისტიან სოციალისტთა მიტინგმაც უარყო ეს კანონპროექტი და მოითხოვა ამ კანონის ხელმეორეთ განხილვა.

მუშათა პრესა ინგლისში, ლონდონსა და მანჩესტერში წარსული წლიდან მუშათა ყოველდღიური გაზეთები გამოდის. გამოსაცემი ფული 7 მილიონი მანეთი ხელისმოწერით შეკრიბეს. ინგლისში ამ ფულით დღიური გაზეთის გამოცემა ძნელი შეიქნა. გაზეთები აცხადებენ 2 თვის გამოსაცემი ფული გვაქვს კიდევო. თვითოეული გაზეთი 200 ათასი ცალი გამოდის. ტრედ-უნიონების კონფერენციამ გადასწყვიტა, კავშირის ყველა წევრმა წლიურათ 46 კაპიკი გადაიხადოს.

## ხ ა შ უ რ ი.

ხაშურში აგერ ორი თვეა დაარსებულა ქართული დრამატიული წრე და სწორეთ ამ მცირე ხანში დიდი წინმსვლელობა დატყობია წრეს, რადგან საზოგადოებაც სიამოვნებით შეგებებია ასეთ დაწესებულებას. ახალგაზდა აქიმის მიხეილ რატიანის თავჯდომარეობით დაუწყია წრეს მუშაობა. ადგილობრივი სცენის მოყვარეებისაგან შემდგარა დასი, რომელსაც მსახიობი ივანე მურვანიშვილი რეჟისორობს, უკვე გაუმართავთ ორი წარმოდგენა, რომლებსაც ძლიერ კარგათ ჩაუვლია. მკათათვის 30-ს ადგილობრივის რკინისგზის მოხელეთა დარბაზში გაიმართა სადამო ქართულის დრამატიულის წრის ფონდის გასაძლიერებლათ. სადამო მეტათ შინაარსიანი გამოდგა ყოველის მხრითა და დიდძალი საზოგადოებაც დაესწრო. ძლიერ სასიამოვნო იყო, რომ სადამოს ქართული ელფერი ედო. წარმოადგინეს ორი ვოდევილი „ადვოკატთან“ და „დუელი“. ორივე ვოდევილმა მშვენიერათ ჩაიარა. ძალიან მოხდენილათ თამაშობდა სცენის მოყვარე ქალი თ. აფხაზიშვილისა, რომელიც თავის თამაშით არ ჩამოუვარდება ჩვენს საუკეთესო მსახიობ ქალებს. კარგი იყო ბ. ა. კორძაია იმერელ ონოფრეს როლში და აგრეთვე ბ. გ. ჯაფარიძე ზარუბანიძის როლში. ვანო მურვანიშვილი შეუდარებელი იყო კარაპეტას როლში, რითაც იმან ხალხი ძლიერ აცინა. დანარჩენი მოთამაშენიც ხელს უწყობდენ თავის თამაშით.

საკონცერტო განყოფილებამ აღტაცებაში მოიყვანა დამსწრე საზოგადოება. იმღერა ჩვენმა ახალგაზდა მომღერალმა გიორგი ჩუბინაშვილმა. მისი ტკბილი და მეტათ სასიამოვნო ხმა (დრამატიული ტენორი) ხიბლავს ადამიანს. ქართულათ იმღერა „გემუდარები ნუ მტოვებ მარტოს“ (ოპერეტიდან „Король веселится“ მუსიკა კურტისის); რუსულათ კი პეტროვის რომანსი „Не вѣрь“. იძულებული იყო რამდენჯერმე კიდევ ემღერა ქართულათ, რადგან საზოგადოების აღტაცებას საზღვარი არ ქონდა. როგორც გავიგეთ ეს ნიჭიერი ახალგაზდა მომღერალი ვერ ახერხებს განაგრძოს სწავლა. რადგან მატერიალური მდგომარეობა ხელს ვერ უწყობს. საჭიროა აყვავდეს ასეთი ტალანტი და, რასაკვირელია, საზოგადოებამაც ხელი უნდა შეუწყოს ამ აყვავებას რითაც კი შეუძლია.

საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე მარიამ მაჭავარიანის ასულმა, რომელმაც პიანინოზე რამდენიმე ნუმერო მშვენიერათ შეასრულა. მსახიობ ზარდალიშვილის დეკლამაციით დასრულდა ბოლო განყოფილება, რასაც მოყვა ცეკვა-თამაში. დანიშნული იყო ორი ჯილდო ლეკურისათვის, მაგრამ ჟიურიმ არავინ არ სცნო ღირსეულათ ჯილდოს მიღებისა. ასე მხიარულათა და ძლიერ წყობილათ ჩაიარა სადამომ, რომელიც ახალმა შემდგარმა დრამატიულმა წრემ გამართა თავისავე ფონდის გასაძლიერებლათ და საზოგადოებაც დიდათ ასიამოვნა. უსურვოთ ამ წრის მესვეურებს წინსვლა თავის საქმეში.

ს. ახლ.

## ნ ა რ ე მ ა ი.

ეკლესიაში მოსიარულეთა რიცხვი. 37,700.892 მცხოვრებიდან საფრანგეთში ეკლესიაში დადის 5,381760 კათოლიკე, ე. ი. 14 პროცენტი. პარიზში 23 მცხოვრებზე ერთი კათოლიკე დადის. რეაქციონურ ქალაქებში კათოლიკეთა რიცხვი 25 პროცენტია, პროგრესიულ ქალაქებში 10%, სოფლებში კი 20—5%. სხვადასხვა პროტესტანტთა რიცხვი საფრანგეთში 8 მილიონია, რაც მთელ მცხოვრებთა ოც პროცენტს შეადგენს. საფრანგეთში 100 ათასი ებრაელი ცხოვრობს, აქედან სინაგოგაში მხოლოდ 10 ათასი ებრაელი დადის. 100 ათას ებრაელში 80 ათასი მხოლოდ პარიზში ცხოვრობს. მათ რელიგიურ ინტერესებს 15 რაბინი ემსახურება. ებრაელ ენისა და რელიგიის მასწავლებელთა რიცხვი შკოლებში სანახევროთ შემცირდა.

კანონპროექტი ქალთა შლიაპების შესახებ. ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების საკანონმდებლო დაწესებულებაში ორიგინალური კანონპროექტი შეაქვთ, კანონპროექტი ქალთა შლიაპების შესახებ. კანონპროექტი სასურველათ აღიარებს, ქალებმა დაიხურონ ისეთი შლიაპები, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში ხალხს ხელს არ უშლის. მაგალითისათვის მოყვანილია თეატრი. ქალებმა თეატრში ისეთი შლიაპა უნდა დაიხურონ, რომ მაყურებელთ ხელი არ შეუშალონ. კანონპროექტში აღნიშნულია, ქალი, რომელიც შლიაპას ატარებს, და თეატრში ამ წეს არ დაემორჩილება დაუყონებლივ გააძრძანონ გარეთ, ქალმა თუ წინააღმდეგობა გაუწია და პროტესტი განაცხადა, მაშინ იმ ქალის მოქმედებაზე საზოგადოებას და ქალს კი ზედმეტათ ამისა 50 დოლარით დააჯარიმებენ.

რედაქტორ-გამომცემელი გ. ჭელიძე.


**ახალი გამოგონება მეცნიერებაში**
ერთადერთი სახმარებელი ვენახის აქიმობისათვის და მცენარეთა დასაცავათ სოკოების ავათმყოფობისაგან და მწერთაგან

**ახალი სითხე უაკმენის ႮႮ**

უმთავრესი წარმომადგენელი მთელი რუსეთისათვის **კანტორა კლო ძღურული** **ქუთაისში** საწყობი და ნარდი გაყიდვა **ი. გოკიელოვის შვილების სავაჭრო სახლში ქუთაისში.**

იყიდება მხოლოდ ქ. შ. წ. კ. გ. ს. წიგნის მაღაზიაში, თფილისში

# კ ა ნ ო ნ ი

გლეხთა სოფლელთა და მემამულეთა შორის დროებით ვალდებულ და დამოკიდებულ ურთიერთობის მოსპობისა ნადელის დახსნითა და შეუძლებით საკუთრებათ, მთავრობის დახმარებით, თფილისის, ქუთაისის, ერევნის, განჯისა და ბაქოს გუბერნიებში.

# ВРЕМЕННАЯ

инструкція должностнымъ лицамъ и учрежденіямъ по приведенію въ исполненіе Закона 20 декабря 1912 г.

**საუკეთესო საკვები ცხენებისათვის და საქონლისათვის.**

# „პ ა ტ ო კ ს ა ნ“.

„**პატოკსან**“ შეიცავს 42 პროც. შაქარს (სრულიად რუსეთის შაქრის მრეწველთა ლაბორატორიის ანალიზი № 640.

„**პატოკსან**“ საუკეთესო საშუალებაა საქონლის ღონის შერჩენისათვის და შემატებისათვის (მოხსენება აქ. იოტეიკოსი ლიეჟის შაქრის მრეწველთა კონგრესზე).

„**პატოკსან**“ ხელს უწყობს საქონელს და ცხენებს საჭმლის მონელებაში, რაც თავის რიგათ ეხმარება შრომის უნარისა და სიცოცხლის უნარის შემატებას,

„**პატოკსან**“ ხელს უწყობს რომ რძის მომცემ საქონელს რძე გაუუმჯობესოს და დღიური ნაწველიც გაადიდოს.

„**პატოკსან**“ თავის ნოყიერების გამო ძალიან მარგებელია და ეკონომიური საჭმელი.

ვინც მოისურვებს გაეგზავნება ერთი ფუთი 1 მ. 20 კ. გაგზავნის ფასს ვიხდით ჩვენ. გაგზავნის დროს ყოველგვარი ცნობა და მომხმარებლების აზრი უფასოთ იგზავნება ამიერ კავკასიისათვის.

ერთადერთი წარმომადგენელი ამიერ კავკასიისათვის „**გეორგი რუსინოვ და ამხ.**“ თფილისში ვერის დაღმართი № 12 ტელეფონი 11—37 და 11—77. დეპეშით მისამართი: „რუსინოვს თფილისში“.


## რკინის გზა

**ქუთაისიდან მიდის.**

**თფილისს:** სახალხო 5 ს. 10 წ. დ.; სახ 10 ს. 6 წ. დ.; ფოშტ. 11 ს. 55 წ. დ.; სახ. 11 ს. 27 წ. დ.
**ბათომს:** სახ. 5 ს. 10 წ. დ.; სახ. 7 ს. 5 წ. საღ.; სახ. 11 ს. 27 წ. დ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. დ.
**ფოთს:** საავარაკო 4 ს. 22 წ. დ.; სახალ. 5 ს. 10 წ. დ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. საღ.; სახ. 7 ს. 56 წ. საღ.
**შორაპანს:** საავარ. 4 ს. 57 წ. დღ.
**ტყიბულს:** სახ. 7 ს. 50 წ. დილ.; სახ. ... 45 წ. დღ.

**ქუთაისს მოდის.**

**თფილისიდან:** სახ. 7 ს. დილ.; სახ. 8 ს. 26 ... საღ.; ფოშტ. 6 ს. 56 წ. სა... სახ. 1 ს. 26 წ. ღამით.
**ბათომიდგან:** ფოშტ. 1 ს. 20 წ. დღ.; სახ. 1... 14 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ. დ.; ... 7 საათ. დილ.
**ფოთიდან:** საავ. 10 ს. 3 წ. დილ.; სახ. 1... 20 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ. ...
**შორაპნიდან:** საავ. 9 ს. 31 წ. დილ.
**ტყიბულიდან:** სახ. 5 ს. 11 წ. დღ. სახ. ... საათ. 9 წ. დილ.


ქ. ქუთაისში (სობოროსთან

**ა. თაბაგარის მაღაზიაში**

20 ივლისიდან დანიშნულია

# დიდი იაფი ვაჭრობა

ველოსიპედების და სხვ.



ამასთანავე მიღებულია დიდძალი საკერი, საქსოვი და საწერი მანქანები, გრამაფონები და მათი მოწყობილობა.

●●◘ ფასები ძლიერ დაკლებულია ◘●●

ხრესილი — სამკურნალო აბანო — მეირფასი მთის ჰაერზე — ძმ. ყორყოლაძეების
ფრენი ოთახები იხილეთ და დაწყობილებით.

შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მაღნეული წყალი კურნავს სხვადასხვა სენისაგან, როგორც არის: ქარები (რევმატიზმი) კუჭის და თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თფილიც. აქვეა სუფთა ბინა და სასმელსაჭმელი, აბანო მუდმივ განაგრძობს მუშაობას. ხრესილის სადგურიდან დაშორებულია ორმოცდაათი საჟენის მანძილზე.

# გ. გორდამის და ს. წერეთლის

ერთად ერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომის და სოხუმის ოლქ... უმაღლესი სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაევ-მალცევის ბემსკის მინ... ბის ქარხნის, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСКОЕ“

**რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:**

საუკეთესო
ქარხნებისგან
**მიღებული რკინეული**
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილებანი, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი, და სხ.
**ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.**
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65.



ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის ქუთაისში.